მოწყობილობის დანიშნულება

ვაკუუმ-შესაფუთი აპარატი განკუთვნილია კვების და არასაკვები პროდუქტების შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად, პროდუქტის შეფუთვიდან ჰაერის ამოტუმბვის გზით.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება. შეინახეთ მოწყობილობა მათთვის მიუწვდომელ ადგილას.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა კვების კაბელის, ჩანგლის ან სხვა დეტალების დაზიანების შემთხვევაში. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ადვილად აალებადი სითხეების, აირების და სხვა ფეთქებადი მასალების სიახლოვეს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ნოტიო გარემოში ან იქ, სადაც შეიძლება მასზე სითხის შხეფები მოხვდეს. არ ჩადოთ მოწყობილობა წყალში ან სხვა სითხეში და არ შეეხოთ ჩართულ მოწყობილობას, კვების კაბელსა და ჩანგალს სველი ხელებით.
- მოათავსეთ მოწყობილობა სწორ ზედაპირზე.
- მოწყობილობის გამოსართავად, გამოიღეთ ჩანგალი როზეტიდან. არ გამორთოთ მოწყობილობა კვების კაბელზე დაქაჩვით.
- აუცილებელია მოწყობილობის ქსელიდან გამორთვა ნებისმიერი გაუმართაობის წარმოქმნისას, ასევე გაწმენდის წინ და გამოყენების დასრულების შემდეგ.
- მომუშავე ან გაგრილების პროცესში მყოფი მოწყობილობა უნდა იმყოფებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ზონაში.
- 20-ზე მეტი პაკეტის უწყვეტად დალუქვის შემთხვევაში, მოწყობილობასთან მუშაობის განახლებამდე დაელოდეთ მინიმუმ 25 წუთი.